შპს ,,MHD group “

# ქ. თბილისში თვალჭრელიძის შესახვევში ნაკვეთი ს/კ 01.19.18.006.171 ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობების დემონტაჟის

# ორგანიზაციის პროექტი

თბილისი-2024

შპს ,,MHD group “

# ქ. თბილისში თვალჭრელიძის შესახვევში ნაკვეთი ს/კ 01.19.18.006.171 ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობების დემონტაჟის

# ორგანიზაციის პროექტი

შეადგინა /დ.ურჯუმელაშვილი/

თბილისი-2024

# ალბომის შინაარსი

ა) განმარტებითი ბარათი

1. ობიექტის მდებარეობის უბნის დახასიათება
2. დასაშლელი შენობის დახასიათება
3. სადემონტაჟო მოედნის ორგანიზაცია
4. .სამუშაოთა წარმოების ვადები
5. სამუშაოთა წარმოება
6. შენობის დემინტაჟის ( დაშლის) ტექნოლოგია
7. შრომის დაცვა და საწარმოო უსაფრთხოება
8. შენობა-ნაგებობის დემონტაჟის (დაშლის) უსაფრთხოების ტექნიკის განსაკუთრებული პირობები
9. გარემო პირობების დაცვა

დანართები;

1. სამუშაოთა წარმოების გრაფიკი
2. სამშენებლო გენგეგმა

ა) განმარტებითი ბარათი

შესავალი

ქ. თბილისში თვალჭრელიძის შესახვევში, ნაკვეთი ს/კ 01.19.18.006.171 ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობების დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი, დამუშავებულია სნ და წ 3.01.01.85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის დამუშავებისას გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული და საცნობარო ლიტერატურა:

1. სნ და წ III-4-80 ,,უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“ სამუშაოთა წარმოების და მიღების წესები.

2. სნ და წ 3.01.01.85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია.

3. საცხოვრებელი და სამოქალაქო მშენებლობის ორგანიზაციის და სამუშაოთა წარმოების პროექტების დამუშავების სახელმძღვანელო.

4. მშენებლის ცნობარი . სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია.

5. მშენებლის ცნობარი. საცხოვრებელი და სამოქალაქო მშენებლობის ორგანიზაცია.

6. საანგარიშო ნორმატივები მშენებლობის ორგანიზაციის პროექტების შესადგენად.

7. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.

8. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება ,, ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენისას საწყის მონაცემებს შეადგენენ;

1. საპროექტო დავალება
2. ტოპოგრაფიული, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევების მასალები
3. შენობის არქიტექტურული და კონსტრუქციული საპროექტო დოკუმენტაცია

აღნიშნული დემონტაჟის (დაშლის) ორგანიზაციის პროექტის საფუძველზე სამშენებლო კომპანიამ უნდა შეადგინოს სამუშაოთა წარმოების პროექტი (სწპ), სადაც დეტალურად იქნება დამუშავებული კონკრეტული სამუშაოების წარმოების მეთოდები და ტექნოლოგია, შერჩეული იქნება მანქანა-მექანიზმები.

## 1. ობიექტის მდებარეობის უბნის დახასიათება

მშენებლობის რაიონი, ქ. თბილისი (ვარკეთილი) თანახმად ,,დაპროექტების ნორმების -სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) სამშენებლო კლიმატური დარაიონების ცხრილი 3-ის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 11.5, წლის აბსოლუტური მინიმუმი -24$^0$C, აბსოლუტური მაქსიმუნი +40$^0$C (ცხრილი11). წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 60%, ყველაზე ცივი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 60%, ყველაზე ცხელი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა 40% (ცხრილი 13). ნალექების წლიური რაოდენობა 550 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი 143 მმ (ცხრილი 15). თოვლის საფარის წონა 0,5 kpa, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 14 (ცხრილი17). ქარის ნორმატიული დატვირთვა 0.73 kpa. თანახმად საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევებისა, მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე და მის ირგვლივ არ აღინიშნება საშიში გეოლოგიური პირობები და მათი ჩასახვა არც მომავალშია მოსალოდნელი.

სეისმიური დარაიონების მიხედვით სამშენებლო უბანი მდებარეობს 8 ბალიან რაიონში.

## 2 დასაშლელი შენობის დახასიათება

აღნიშნულ ტერიტორიაზე დემონტაჟს ექვემდებარება 9 ობიექტი, მათგან სამი მდებარეობს მიწის ზედაპირზ/ქვეშ, ხოლო დანარჩენები წარმოადგენს ერთსართულიან შენობებს, რომელთა ზომები ღერძებში შემდეგია:

-ნაგებობა 01/1 30,64X10.06 მ, ორქანობიანი სახურავით, სიმაღლე 6,33 მ;

- ნაგებობა 02/1 21,18X6.08 მ, სიმაღლე 4,1 მ;

-ნაგებობა 05/1 17,54X7,26 მ, სიმაღლე 3,3 მ;

-ნაგებობა 06/1 29,71X6.01 მ, სიმაღლე 4,71 მ;

-ნაგებობა 08/1 29,15X6.01 მ, სიმაღლე 6,72 მ;

## 3,სადემონტაჟო მოედნის ორგანიზაცია

სადემონტაჟო მოედნის ორგანიზაცია მოიცავს:

-დროებითი 2მ სიმაღლის ღობის მოწყობა სტანდარტის შესაბამისად;

-სამშენებლო ნარჩენების დასაწყობების ბაქნების მოწყობა;

- ავტოსატრანსპორტო საშუა;ებების, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მოძრაობის ორგანიზაცია;

-ობიექტის უზრუნველყოფა ხანძარქრობისა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სახანძრო ფარებით და ხანძარმქრობებით. შესასვლელებში და გასასვლელებში უნდა მოეწყოს სახანძრო დაცვის გეგმა. შესასვლელებისა და გასასვლელების, წყლის წყაროების, ხანძარქრობის საშუალებების და კავშირგაბმულობის მდებარეობის;

-გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების აბრების და წარწერების თვალსაჩინო ადგილებში მოწყობა;

-ობიექტის დაკომპლექტება მუშა კადრებით, სამშენებლო მანქანა-მექანიზმებით, მოწყობილობებით, ინსტრუმენტით და ინვენტარით;

-სამშენებლო მოედანზე მომუშავეებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა.

## 4.სამუშაოთა წარმოების ვადები

იმის გამო, რომ ობიექტის მშენებლობის ვადის განსაზღვრა შეუძლებელია სნ და წ 1.04.03.85 ,,მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები"-ს მიხედვით, ანალოგიური შენობების ნორმატივების არ არსებობის გამო, მშენებლობის ვადა განსაზღვრულია სამუშაოთა მოცულობების მიხედვით და ასახულია ობიექტის მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში და შეადგენს 60 დღეს (2 თვე).

## 5, სამუშაოთა წარმოება

შენობის დემონტაჟისა და დაშლის სამუშაოები სრულდება ერთ ცვლაში. პროექტით გათვალისწინებულია სამუშაოთა შემდეგი რიგითობა;

ა) მოსამზადებელი პერიოდი

ბ) ძირითადი პერიოდი

### 5.1 მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები

სამუშაოთა წარმოების დაწყებამდე უნდა გატარდეს შემდეგი მოსამზადებელი ღონის-ძიებები და სამუშაოები:

-სამშენებლო მოედანზე უცხო პირების და სხვადასხვა ცხოველების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად უნდა განხორციელდეს ობიექტის დღე-ღამური დაცვა;

-იტპ რიცხვიდან ბრძანებით დაინიშნოს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ( მათ შორის მექანიზმებით სამუშაოთა წარმოებაზე პასუხის მგებელი);

- ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ;

-მუშებზე რომლებიც დაკავებულები არიან სადემონტაჟო სამუშაოებზე გაიცემა დაშვება-განაწესი მაღალი საშიშროების სამუშაოებზე. ისინი აღჭურვილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დამცავი მუზარადებით, სარტყელებით, რესპირატორით, სათვალეებით და ა.შ.);

-განსაზღვრული უნდა იყოს სამშენებლო ნარჩენების გატანის ადგილი;.

-შენობებიდან გატანილ უნდა იქნეს ყველა მოწყობილობა, ავეჯი და სხვ.

-ჩახსნილი უნდა იყოს ყველა კომუნიკაციური ქსელი.

## 5.2 ძირითადი პერიოდის სამუშაოები

კონსტრუქციების სადემონტაჟო და დასაშლელი სამუშაოების მიმდევრობა შემდეგია;

-კარ-ფანჯრების ღიობების შევსების დაშლა;

-ტიხრების დაშლა;

-იატაკების საფარის დაშლა;

-სახურავის ბურულის დაშლა;

-მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი.

# 6 შენობის დემონტაჟის (დაშლის) ტექნოლოგია

## 6.1 რბილი სახურავის დემონტაჟი

რბილი სახურავების დემონტაჟის განხორციელება მიზანშეწონილია წელიწადის თბილ პერიოდში, თუმცა ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 20$^{0}$C, რადგან მაღალ ტემპერატურაზე სახურავის მასალა ცხელდება და ხდება ბლანტი, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებას.

უშუალოდ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე უნდა გასუფთავდეს სახურავი ნაგვისაგან და სხვა არსებული უცხო ელემენტებისაგან;

-ჩაიხსნას კომუნიკაციები: ელსადენები, მეხამრიდები და სხვ.

-მომზადდეს აუცილებელი ინსტრუმენტი.

თუ ბურულის სისქე არ აღემატება 3 სმ საჭიროა სახურავზე ზოლების ამოჭრა. სამუშაოების შესრულების დაჩქარებისათვის მიზანშეწონილია ღარების ამოსაჭრელი ინსტრუმენტის გამოყენება.

3 სმ-ზე მეტი სისქის ბურულის დემონტაჟისათვის საჭიროა სახურავის დაყოფა კვადრატებად, ბურულის ფენის ამოჭრით სახურავის ცულით. სახურავის საკმარისი რაოდენობის კვადრატებად დაყოფის შემდეგ ხდება მისი აცლა ცემენტის მოჭიმვიდან იგივე ცულებით. აჭრილი ბურულის ნაჭრები თავსდება სამშენებლო კონტეინერში.

## 6.2 ქვიშა-ცემენტის მოჭიმვის დემონტაჟი

ქვიშა-ცემენტის მოჭიმვის დასაშლელად გამოიყენება სანგრევი ჩაქუჩები, რადგან ამ ინსტრუმენტს შეუძლია ხარისხიანად დაშალოს ყველაზე მტკიცე შრე.

შესაძლებელია ამ პროცესისათვის პერფორატორების გამოყენება, რომლითაც იბურღება მრავალრიცხოვანი ნახვრეტი მოჭიმვის შრეში, რაც აადვილებს მოჭიმვის დაშლას.

ქვიშა-ცემენტის დაშლის დროს წარმოქნილი მტვრისაგან დასაცავად საჭიროა აირწინაღების, რესპირატორების და სხვა დამცავი საშუალებების გამოყენება რათა სამშენებლო მასალების წვრილი ნაწილაკები არ მოხვდნენ სასუნთქ სისტემაში.

## 6.3 მოთუთიებული თუნუქის სახურავების დემონტაჟი

თუნუქის სახურავის დემონტაჟი იწყება თუნუქის ფურცლების შემაერთებელი ნაკეცების გახსნით, რისთვისაც გამოიყენება ლომი, ჩაქუჩი და ლითონის საჭრელი ინსტრუმენტი. სამუშაოები იწყება კეხიდან. პირველ რიგში იხსნება თუნუქის ფურცლები , ხოლო შემდგომ შეფიცვრა და სხვა დანარჩენი ხის ელემენტრბი.

## 6.4 წვრილი სამშენებლო ბლოკის კედლების დემონტაჟი

წვრილი სამშენებლო ბლოკის კედლების დაშლა წარმოებს ზემოდან ქვემოთ, კონსტრუქციის მონტაჟის საპირისპიროდ. ბლოკის კედლები იშლება ჰორიზონტალზე ხელის მანქანებით (სანგრევი ჩაქუცები, საჭრელი მანქანები ) და სხვადასხვა ხელის ინსტრუმენტის (ურო, ძალაყინი და სხვ.) გამოყენებით. სუსტ დუღაბზე დაწყობილი გრძივი კედლები იყოფა ვერტიკალური დანაწევრებისა და განივი კედლებისაგან გამოყოფის გარეშე კედლების ვერტიკალური დანაწევრების ადგილების მონიშვნა წარმოებს ისე, რომ გაკვეთამ არ გამოიწვიოს კედლის ნაადრევი ჩამონგრევა. გამკვეთებად ძირითადად გამოიყენება კარის ღიობები. კედლების გასაკვეთად გამოიყენება სანგრევი ჩაქუჩები. ბლოკის კედლების დაშლა წარმოებს ხარაჩოებიდან და ინვენტარული ფიცარნაგებიდან.

## 6.5 ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი

ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციების დემონტაჟი წარმოებს 25 ტ ტვირთამწეობის მუხლუხა ამწეს დახმარებით. სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შერჩეული და გამოცდილი უნდა იქნას მექანიზმები, ინვენტარი და სამარჯვი მოწყობილობები,

ინსტრუმენტი, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნების შესაბამისობაზე. საჭიროა მუშები გაეცნონ სამუშაოთა წარმოების წესებს უსაფრთხოების ტექნიკის ჟურნალში ხელის მოწერით.

### 6.6 კარ-ფანჯრების ღიობების შევსების დაშლა

კარ-ფანჯრების ალათები იხსნება და გადაიტანება დასასაწყობებელ ბაქანზე სადაც ხდება მინის გამოყოფა. ამავე ბაქანზე დასაწყობდება ჩარჩოები.

### 6.7 მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლა

მონოლითური ბეტონის და რკინაბეტონის კონსყტუქციების სწრაფად დასაშლელად გამოიყენება პნევმატური ჩაქუჩები და ჰიდრავლიკური ურო, როგორც ექსკავატორის ცვლადი ორგანო.

## 7.შრომის დაცვა და საწარმოო უსაფრთხოება სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აუცილებელია შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვა, რომელიც მოცემულია სათანადო სახელმძღვანელო და ინსტრუქციულ დოკუმენტებში.

მუშებზე გაცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს მათ სქესს, სიმაღლეს და ზომებს, შესასრულებელ სამუშაოების სახეობას და პირობებს, აგრეთვე უნდა უზრუნველყოს დროის გარკვეულ განმავლობაში ადამიანის ორგანიზმზე მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორების შემცირება ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრულ დასაშვებ სიდიდემდე.

გამოყენებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, სპეცტანსაცმელი და სპეცფეხსაცმელი უნდა პასუხობდნენ ჰიგიენურ მოთხოვნებს და ჰქონდეთ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დასკვნა.

სამუშაოების განმახორციელებელი მუშების მუშაობისა და დასვენების რეჟიმი განსაზღვრულია ნორმატიული დოკუმენტებით, საწარმოო გარემოს და სამუშაო პროცესის ფაქტორის ზემოქმედების გათვალისწინებით.

სამუშაოთა წარმოების უბანზე უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, დამუშავებული კონკრეტული სამუშაო პირობების გათვალისწინებით.

სამუშაოთა წარმოების ადგილები აღჭურვილი უნდა იყოს ზანძარქრობის საშუალებებით ( ცეცხლმაქრები, სახანძრო ინსტრუმენტები და სხვ.) ყველა მუსას შესწავლილი უნდა ჰქონდეს მათი მოხმარება.

მუშაკების ყოფნა, როგორც სამშენებლო მოედანზე, ისე შენობის შიგნით დამცავი მუზარადების გარეშე აკრძალულია. ასევე აკრძალულია დაშლის პროცესში შენობაში იმ პირების ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ამ პროცესში.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს აკრძალულია:

- მომუშავე ძრავით სამსენებლო მანქანის უმეთვალყუროთ დატოვება;

-სადემონტაჟო სამუშაოების უბანზე სხვა სამუშაოების შესრულება;

- ხალხის ყოფნა სადემონტაჟო კონსტრუქციების ქვეშ.

## 8. შენობა-ნაგებობების დემონტაჟის (დაშლის) უსაფრთხოების ტექნიკის განსაკუთრებული პირობები

- ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს სადემონტაჟო (დაშლის) სამუშაოებს უნდა ჰქონდეს სათანადო დაშვებები;

-ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას სამუშაოთა მწარმოებელმა დაუყონებლივ უნდა შეაჩეროს სამუშაოები და გაიყვანოს მუშები სახიფათო ზონიდან;

- სამუშაოთა განახლება ნებადართული იქნება იმ ღონისძიებების გატარების შემდეგ, რომლებიც გამორიცხავენ ყოველგვარ საფრთხეს მომუშავეებისთვის და გარემო პირობებისთვის;

-სამუშაოები უნდა წარმოებდეს ბრზანებით დანიშნული იტპ მუდმივი ხელმძღვანელობის ქვეშ;

-ხარაჩოები და კიბეები უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ მოთხოვნებს;

-კონსტრუქციების დაშლის დროს მუშები დამცავი სარტყელით მიმაგრებულნი უნდა იყვნენ სადაზღვევო ბაგირზე, რომელიც თავის მხრივ დამაგრებული უნდა იყოს მდგრად კონსტრუქციაზე. ამასთან ერთად მუშის გადაადგილება სამუშაო უბნის ფარგლებში უნდა იყოს თავისუფალი და უსაფრთხო;

-სამუშაო ინსტრუმენტები და სამარჯვი მოწყობილობანი სამუშაო ადგილზე ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ ხელს არ უშლიდეს მუშაობას და გამორიცხული იყოს მათი გადმოვარდნის შესაძლებლობა;

- სადემონტაჟო სამუშაოები უნდა წარმოებდეს მხოლოდ დღის სინათლეზე იტპ უშუალო ხელმძღვანელობით;

-დაშლის სამუშაოების წარმოებისას და დაშლის პროდუქტის გატანისას საჭიროა მტვერწარმოქმნის შემცირების ღონისძიებების მიღება.

## 9.გარემო პირობების დაცვა

-სამშენებლო მოედნის ქალაქის ფარგლებში მდებარეობის გამო, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გარემო პირობების დაცვას.

- გაირეცხოს , მიმდებარე ქუჩების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით..

-არცერთი მექანიზმი და მოწყობილობა არ უნდა დარჩეს ჩართული დროის დიდი ხნის განმავლობაში.

-ყურადღება უნდა მიექცეს კოცონების დანთებას. ისინი განპირობებული უნდა იყოს აუცილებლობით და იყვნენ მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. ყოველ შემთხვევაში ზედამხედველ მუშას ხელთ უნდა ჰქონდეს წყლის შლანგი. სასტიკად იკრძალება ძველი ხის მასალის დაწვა.

-სამშენებლო მოედნის სიახლოვეს მდებარე ყოველი ხე უნდა იყოს აღრიცხული და დაცული. დამცავი ღობეები უნდა აიგოს ხის ტანიდან არაუახლოეს 1.3მ-ში

-სამშენებლო პროცესის მთელი დროის განმავლობაში აუცილებელია თვალყურის დევნება და ხის ტანისა და ტოტების ნებისმიერი დაზიანება უნდა დაიფაროს ბიტუმის ხსნარით.

- სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების პროცესში უნდა გატარდეს სამშენებლო მოედნის ცამშენებლო ნარჩენებით დანაგვიანების, ზედაპირულ, გრუნტის წყლებში და ნიაფადში მავნე ნივთიერებების მოხვედრის და ატმოსფეროს დანაგვიანების საწინააღმდეგო ღონისძიებები;

-დემონტაჟის პროდუქტი , სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნეს გატანილი სამშენებლო მოედნიდან. აკრძალულია რკინაბეტონის კონსტრუქციების და სხვა ელემენტების მიწაში ჩამარხვა.

# სამშენებლო გენგეგმა




## ექსპლიკაცია

1. სამუშაოთა მწარმოებლის სათავსი
2. მუშების გასახდელი სანკვანძით
3. საინსტრუმენტო საწყობი
4 საკონტროლო გამშვები პუნქტი

## პირობითი აღნიშვნები

დროებითი ღობე

დროებითი ავტოგზა

სახიფათო ზონა

სამშენებლო მოედანზე შესასვლელი

დასაშლელი ნაგებობები

სამშენებლო ნარჩენების სასაწყობო მოედნები

მომიჯნავე ნაგებობები

ქ. თბილისში თვალჭრელიძის შესახვევში ნაკვეთი ს/კ 01.19.18.006.171 ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობების დემონტაჟის

## კალენდარული გრაფიკი

| № | სამუშაოების დასახელება | დღე | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოები | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ნაგებობა 1/1 დემონტაჟი | 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ნაგებობა 2/1 დემონტაჟი | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ნაგებობა 3/0 დემონტაჟი | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ნაგებობა 4/1 დემონტაჟი | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | ნაგებობა 5/1 დემონტაჟი | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | ნაგებობა 6/1 დემონტაჟი | 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | ნაგებობა 7/0 დემონტაჟი | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | ნაგებობა 8/1 დემონტაჟი | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | ნაგებობა 9/0 დემონტაჟი | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | სამშენებლო ნარჩენების გატანა | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | |


19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40
41
42
43
44
45
46
47
48
49
50
51
52
53
54
55
56

| 57 | 58 | 59 | 60 |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |